ლევან დარბაიძე

მოსამართლე ათი წლის გამოცდილებით, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ბავშვის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი და მეცნიერ-თანამშრომელი, სამართლის დოქტორი. 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში, მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორად (ხუთი წელი), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლის და აუდიტის სამსახურის უფროსად (ექვსი წელი), 2014 წლიდან დღემდე არის მოსამართლე სისხლის სამართლის მიმართულებით (2017 წლიდან - უვადო მოსამართლე გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში). გარდა ამისა, 2006 წლიდან დღემდე ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში სისხლის სამართლის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, აღდგენითი მართლმსაჯულების და სამოსამართლო ეთიკის მიმართულებით, არის ორი წიგნის და ოცამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.